დანართი N1

ანგარიში

(ფინანსური საქმიანობის შესახებ)

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. 2022 წლის ბოლოს დამტკიცდა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის დაგეგმვისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა გასული წლების გამოცდილება. 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული, როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები. 2023 წლის ბიუჯეტში, წინა წლიდან გადმოსული ნაშთი შეადგენდა 133543ლარს,შემოსავალი შეადგენს 2 230 903 ხოლო ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 2 364 446ლარი. ნაშთი 2024წლის 01იანვრისათვის შეადგენდა 18 198 ლარს.

სკოლის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენდა მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება. 2023 წელს სკოლამ მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიიღო 2216426ლარი.

.

2021 წლის დეკემბერში „მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებაში შესული ცვლილების შესაბამისად, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სტატუსის დანამატი გაეზარდათ 100 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2023 წლის იანვრიდან გაიზარდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების მიხედვით ხელფასები არსებული ხელფასების 10%-ის ფარგლებში. შესაბამისად, სახელფასო ხარჯები განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის შესაბამისად. 2023 წელს სტატუსი აიმაღლა ოთხმა მასწავლებელმა რომლზეც შესაბამისად გაიცა სტატუსის დანამატები. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წელს, სახელფასო ხარჯი ჯამში გაიზარდა თანხა 4700 ლარით.

რაც შეეხება დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, ეპიდემიოლოგიური მდგმარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, 2023 წლის გაიზარდა ბიუჯეტში იჯარიდან შემოსული თანხის ოდენობა. შემოსულმა თანხამ წლის განმავლობაში ჯამურად შეადგინა9433 ლარი.

გადავედით ხაზინაზე 2023 წლის 01 ნოემბრიდან, ამ დროს ხარჯი 1 949 548 ლარი

სკოლას საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ბრუნვის ფარგლებში, სკოლას სარგებლის სახით დაერიცხა გარკვეული თანხა (დარიცხული პროცენტი), საიდანაც ჯამურმა შემოსავალმა 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგინა -3545 ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი მოხმარდა შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, შესყიდულ იქნა სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთები (საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები).

ასევე ავეჯი კაბინეტებისთვის 40 667ლარსი , აგრეთვე მერხები და სკმები 18200 ლარის ჯამში 58867 ლარი.

ხარჯმა 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 2 346 248 ლარი.

2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა სკოლის შემოსავალმა ჯამში შეადგინა 2 230 903 ლარი . მათ შორის, სკოლის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 14478 ლარი, საიდანაც იჯარიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა თანხა ლარი,9433 ლარი, სხვა შემოსავალმა კი 5045 ლარი.

მიუხედავად წლის განმავლობაში არსებული გამოწვევებისა და სიძნელეებისა, სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი იხარჯებოდა რაციონალურიად და შეძლებისდაგვარად პასუხობდა სკოლის მოთხოვნებს. სკოლის თანხების ხარჯვა განხორციელდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებთ, 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.